

ელისო ქორიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

Elisso.koridse@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.81>

პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმნის ზოგიერთი საკითხისათვის (გერმანული და ქართული ენების მასალაზე)

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ნეოლოგიზმები, თარგმანი, გერმანული ენა

სამყაროში მიმდინარე გლობალური ცვლილებები (სოციალური, ეკონომიური, ინდუსტრიული, ტექნოლოგიური და სხვ.) უშუალო ზეგავლენას ახდენს ენაზე - ენობრივ სისტემაზე და მის გამოყენებაზე. ფართოდება ლექსიკა, ზოგი სიტყვა კარგავს აქტუალობას და გადადის არქაიზმებში, ზოგის სემანტიკა იცვლება, ან იძენს ახალ მნიშვნელობებს. იქმნება ახალი სიტყვები, ნასესხობები, იდიომატური გამონათქვამები. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია პოლიტიკის სფერო, რომელიც მუდმივად განახლებადია, რაც განაპირობებს ამ მიმართულებით ნეოლოგიზმების სიჭარბეს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი შრომა მიემდგნა მათ შესწავლას, დღემდე საკამათოა ნეოლოგიზმების არსისა და რაობის, მათი ლექსიკოგრაფიული ფორმირების, ნეოლოგიზმებსა და ოკაზიონალიზმებს შორის საზღვრების დადგენის პრობლემატიკის კვლევა.

პოლიტიკური ენის არსის განმარტებისას გამოიყოფა ორი მიმართულება: ზოგი მოსაზრების თანახმად, პოლიტიკური ენა განისაზღვრება როგორც ენობრივი ვარიაცია (ეფინგი), რადგან პოლიტიკური ენის გამიჯვნა სხვა დარგობრივი ენებისაგან გარკვეულ სირთულეებს ქმნის. მეორე მოსაზრების მიხედვით (ჰოფმანი, შმიდტი), პოლიტიკური ენა წარმოადგენს დარგობრივი ენების ქვეჯგუფს, სუბკლასს. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პოლიტიკური ენა, მიუხედავად მისი სხვა დარგობრივი ენებისაგან (იურიდიული, ოფიციალური, მასმედია) გამოყოფისა, ზოგადად ექვემდებარება დარგობრივი ენების მახასიათებლებს და თავისებურებებს.

დარგობრივი ენის დეფინიციები მრავალგვარია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ყველაზე სრული და ამომწურავია ლოთარ ჰოფმანის განმარტება, რომელშიც ხაზგასმულია როგორც ენობრივი ერთეულების, ასევე დარგობრივი კომუნიკაციისა და დარგის სპეციალისტების მნიშვნელობა: „Fachsprache – das ist die Gesamtheit aller sprachlichen Mittel, die in einem fachlich begrenzten Kommunikationsbereich verwendet werden, um die Verständigung der dort tätigen Fachleute zu gewährleisten“ (Hoffmann 1985: 12).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დარგობრივი ენების კვლევა გულისხმობს არა დარგობრივი ცნებების შესწავლას, არამედ წინა პლანზეა წამოწეული დარგობრივი ლექსიკა და დარგობრივი ტექსტები. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დარგობრივ ენაში ძირითადი ლექსიკა ნორმატიული და არადარგობრივია.

დარგობრივი ენების კვლევისას ყურადსაღებია შემდეგი საკითხები:

- დარგობრივი ენის გამოყენება ხდება კონკრეტულ დარგში;

- ტექსტის პროდუცენტი არის ამ დარგის სპეციალისტი;
- ტექსტის თემა არის კონკრეტული დარგის საკვანძო საკითხი;
- კომუნიკაციაში გვხვდება სპეციალური ენობრივი ერთეულები და ტერმინები;
- ტექსტში გამოყენებულია კონკრეტული გრამატიკული საშუალებები და ტექსტის სახეობები.

დარგობრივი ენის ზოგადი მახასიათებლებია:

- დარგობრივი სიზუსტე;
- გამონათქვამთა სიცხადე;
- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- ინფორმაციულობა და რაციონალურობა (დასაბუთების მკაცრი ლოგიკა);
- ენობრივი ფორმულირების მკაცრ სტანდარტამდე ნორმირება, გარკვეული შტამპებისა და კლიშეების არსებობა;
- ობიექტურობა;
- ისტორიულად დაგენილი ფორმები და ტერმინები;
- ხატოვანი გამონათქვამების უგულებელყოფა;
- საყოველთაოდ გასაგები შინაარსი

ამ ნიშანთაგან ყველა ერთნაირი დოზით არ გვხვდება. მათი არსებობა დამოკიდებულია კონკრეტულ ტექსტზე.

ლ.ჰოფმანის აზრით, დარგობრივი ენების აღწერა და მახასიათებელია ეყრდნობა ორ მთავარ ასპექტს: სტილისტიკურს და ლექსიკოლოგიურს. სტილისტიკური დონე ზოგადია და, შესაბამისად, იგულისხმება სტილისტიკური მახასიათებლები, ხოლო ლექსიკური - ფართო ცნებაა და გულისხმობს სპეციალურ ტერმინოლოგიასაც: „Was sind nun eigentlich Fachsprachen und in welchem Verhältnis stehen sie zur übrigen Sprache? Man stößt sofort auf zwei einander diametral entgegengesetzte Tendenzen oder, wenn man so will, auf zwei grundverschiedene Arten, an das Phänomen Fachsprache heranzugehen. Man könnte die eine die „stilistische“, die andere die „lexikologische“ nennen. Die erste sucht das Wesen der Fachsprachen in besonderen stilistischen Merkmalen, die es gestatten, sie einem bestimmten Funktionalstil zuzuordnen¹; die zweite begnügt sich mit der Feststellung eines besonderen Fachwortschatzes, vor allem der Terminologie.“ (Hoffmann, 1976: 189).

დარგობრივი ენებით დაინტერესებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და მოიცავს არამარტო სტილისტიკურ და ლექსიკოლოგიურ, არამედ გრამატიკულ და ფონეტიკურ-ფონოლოგიურ დონეებსაც. მაგალითად, გასული საუკუნის ენათმეცნიერულ ლიტერატურაში წარმოდგენილია კვლევები, რომლებშიც გამოკვლეულია დარგობრივი ტექსტების საწარმოთქმო თავისებურებები.

ვ.შმიდტის მიხედვით, დარგობრივი ტერმინოლოგია უნდა ასახავდეს დარგის სპეციფიკას, ხოლო მისი მახასიათებლებია - ერთმნიშვნელოვნება, ცნებითი სიზუსტე და კორექტულობა, ესთეტიკური, ექსპრესიული და მოდალური ნეიტრალობა: „Unter **Fachbezogenheit** ist sowohl die Zugehörigkeit zu einer bestimmten Fachsprache und ihrem terminologischen System als auch die besondere kommunikative Funktion bei der Lösung spezifischer Aufgaben mit spezifischen Methoden des jeweiligen Fachgebietes zu verstehen. **Begrifflichkeit** bedeutet, daß der Terminus sprachliches Zeichen für einen Begriff, also für ein Grundelement rationalen Denkens, ist. Die **Exaktheit** des Terminus ergibt sich aus seiner Definition oder Beschreibung, die die Abgrenzung gegenüber anderen Termini gewährleistet. **Eindeutigkeit**

heißt, daß der Terminus als Element der Terminologie einer Fachsprache eine ganz bestimmte Erscheinung, einen ganz bestimmten Begriff bezeichnet. **Eineindeutigkeit** ist die umkehrbare Zuordnung von Bezeichnendem und Bezeichnetem, d. h., der Terminus bezeichnet nur eine Erscheinung, und diese Erscheinung hat nur diesen einen Terminus als Benennung.“ (Schmidt, 1969: 12).

რაც შეეხება პოლიტიკურ ენას, მისი მთავარი კრიტერიუმებია:

- პრეციზირება / სიზუსტე.
- სუბიექტურობის უგულებელყოფა;
- პოლიტიკური ლექსიკის გამოყენება
- ნორმირებულ წინადადებათა კონსტრუქციები;
- ფორმულისებური გამონათქვამები;
- პასიური კონსტრუქციები და პასივის პერიფრაზები;
- მიმდებარე კონსტრუქციები;
- სიტყვებით გადმოცემული კომპრესირებული წინადადებები;
- პოლიტიკური ტერმინები, ნეოლოგიზმები;

მნიშვნელოვანი და გავრცობილი ჰ. გირნთის დეფინიცია პოლიტიკური ენის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ მისი გამოყენება ხდება როგორც პოლიტიკოსების, ასევე პოლიტიკური მედიასაშუალებების, ცალკეული მოქალაქეების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ:

„*Politische Sprache* bezeichnet den Sprachgebrauch im Kommunikationsbereich Politik. Sie umfasst den Sprachgebrauch politischer Funktionsträger (Politiksprache), den Sprachgebrauch in den Medien (politische Mediensprache) sowie das Sprechen einzelner Bürgerinnen und Bürger und Gruppen wie etwa Interessensverbänden oder Nichtregierungsorganisationen über politisch relevante Sachverhalte (Sprechen über Politik) ... Die politische Sprache weist darüber hinaus ein spezifisches Inventar an Wörtern (politische Lexik im engeren Sinne) und Textsorten bzw. Interaktionsformaten auf, die bevorzugt im Kommunikationsbereich Politik zur Anwendung kommen.“¹

ვ. დიკმანი მნიშვნელოვნად მიიჩნევს პოლიტიკური ენის ზოგადი მხასიათებლების კვლევას და მისი თეორიული და გამოყენებითი ასპექტების შესწავლას: „Spricht man, um die Verwendungsweisen von Sprache in konkreten politischen Kommunikation zu bezeichnen, von der *politische sprache*, so legt das die Auffassung nahe, dass es allgemeine Merkmale gibt, die den Sprachgebrauch im gesamten Kommunikationsbereich der Politik unterscheiden. Die Frage ist, worin solche allgemeinen Merkmale bestehen und wie die *politische sprache* gegebenenfalls als Teilbereich des Sprachgebrauchs theoretisch und begrifflich zu lassen ist.“ (Dieckmann, 2005: 21).

აქტუალურ ენათმეცნიერულ კვლევებში პოლიტიკური ენის შესწავლა შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

1. პოლიტიკურ თემებზე არსებული ყველა სახის საჯარო, ინსტიტუციონალური და კერძო კომუნიკაცია;
2. პოლიტიკური ტექსტები და ტექსტის სახეობები;
3. პოლიტიკური კონტექსტის მქონე ლექსიკა და ენობრივ-სტილისტურ საშუალებები;

¹ Girth, H. Handwörterbuch des politischen Systems

Politische Sprache. <https://www.bpb.de/kurz-knapp/lexika/handwoerterbuch-politisches-system/511475/politische-sprache/>. მოძიებულია 14.05.2024.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალურია პოლიტიკური ლექსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან შრე - პოლიტიკური ნეოლოგიზმები.

პოლიტიკური ნეოლოგიზმების შესწავლა ემყარება ოფიციალური ტექსტების (ქარტიები, კონვენციები, პარტიების პროგრამები) კორპუსებს. აღიარებული ფაქტია, რომ პოლიტიკოსთა მეტყველებაში (ზეპირი, წერიტი) აქტიურადაა გამოყენებული ენობრივი მანიპულაციის საშუალებები, ხოლო მათ შორის დიდ როლს ასრულებენ ნეოლოგიზმები. პოლიტიკური ნეოლოგიზმების კვლევა მოიცავს ამ ენობრივი ერთეულების პრობლემატიკის მთავარ საკითხებს, კერძოდ:

ა) რა შემთხვევაში ითვლება სიტყვა პოლიტიკურ ნეოლოგიზმად?

ბ) მიეკუთვნება ახლად შექმნილი სტრუქტურა პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს თუ ოკაზიონალიზმებს?

გ) რამდენ ხანს ფუნქციონირებს ახალი სიტყვა როგორც პოლიტიკური ნეოლოგიზმი?

დ) შეიძლება ნასესხები სიტყვა ჩაითვალოს პოლიტიკურ ნეოლოგიზმად?

საინტერესოა გასული საუკუნის კვლევები, რომლებშიც განხილულია გდრ - ში და გფრ - ში გავრცელებული პოლიტიკური ნეოლოგიზმების აღწერა და შედარებითი შესწავლა (როზენი, ბანდუში, ფლაიშერი). აქვე უნდა აღინიშნოს წარმოდგენილ ნაშრომთა მკვეთრად იდეოლოგიზირებული ხასიათი. პირველ რიგში, მკვლევართა ყურადღება გამახვილებულია ისტორიულ ფაქტზე - ერთ ენობრივ სივრცეში არსებული ორი სოციალურ-პოლიტიკურად განსხვავებული სახელმწიფოს შესახებ, რაც თავისთავად განსაზღვრავს შესაბამისი საზოგადოებების ენასაც. თვით საერთო ლექსიკის ფარგლებშიც კი, ადგილი აქვს ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის განსხვავებულობას. მაგალითად: გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში *Oberschule* განიმარტება როგორც - *Die zehnenklassige allgemeinbildende Schule*, ხოლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - *Höhere Schule des bürgerlichen Schulsystems, in der neuere Sprachen und Latein gelehrt werden*.

გდრ - ის და სსრკ - ს გერმანისტ ენათმეცნიერთა ნაშრომებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გფრ - ის, ავსტრიის და შვეიცარიის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში ჭარბად წარმოდგენილი ამერიკანიზმები აზიანებენ გერმანულ ენას, რაც მიუღებელია და მხოლოდ მცირე რაოდენობით გვხვდება გდრ - ში. ოფიციალურ და საკანონმდებლო დოკუმენტებში თვით ორი გერმანული სახელმწიფოს დასახელებაც ნეოლოგიზმებია და განპირობებულია მსოფლიოში არსებული ახალი პოლიტიკური ვითარებით.

გერმანულენოვან სივრცეში ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ ლექსიკაში არის სიტყვათა ფორმოზიგი თანხვედრაც, მაგრამ განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობებით. მაგალითად, *Ministerpräsident* გდრ - ში ნიშნავდა პრემიერ-მინისტრს, ხოლო ფრგ-ში ფედერალური ქვეყნის სამთავრობო ხელმძღვანელს.

ასევე, გერმანული ენის ძირითად ფონდში დამკვიდრებული სიტყვები *Bund* და *Land*, შესაბამის კომპოზიტებში აღიქმება, როგორც ნეოლოგიზმები, მიუხედავად იმისა, რომ წინა პერიოდის გერმანულშია დამკვიდრებული სიტყვები *Bundesgebiet* (*deutsches Reichsgebiet 1871-1918*), *Bundeskanzler* (*Minister-Präsident des Norddeutschen Bundes 1867-71*), *Bundesrat* (*seit 1871 Versammlung der 61 Vertreter der Bundesstaaten*) და სხვ. რაც შეეხება სიტყვას *Land* და მისგან ნაწარმოებ კომპოზიტებს, მას ასევე ხანგრძლივი ისტორია აქვს და აღნიშნავდა *Landesdirektor* - *Chef der Provinzialverwaltung in Brandenburg*, *Landeshauptmann* - *Chef der Provinzialverwaltung in Preußen* და ა.შ.

ლექსიკონში Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache აღნიშნულია, რომ სიტყვები *Bund* და *Land* გამოხატავენ პოლიტიკურ მიკუთვნებულობას და წარმოადგენენ გფრ - ის პოლიტიკური სივრცის სემანტიკურ ნეოლოგიზმებს (Klappenbach/Steinitz, 1961-73: 67).

აგრეთვე საინტერესოა მოსაზრებები იმის შესახებ, რომ პოლიტიკური ნეოლოგიზმების უმრავლესობა გფრ-ში იწყება სიტყვით *Bund*, ხოლო გდრ-ში *Volk* -ით, რაც სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელ ენათმეცნიერთათვის არაერთმნიშვნელოვნადაა შეფასებული. ისევე, როგორც უარყოფითი და ბურჟუაზიული კონოტაციებითაა შეფასებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები: *Sozialpartner*, *Tarifpartner*, *offene Gesellschaft* და სხვ.

განსაკუთრებით საყურადღებოა გერმანული პოლიტიკური ნეოლოგიზმების გადმოთარგმნა ქართულ ენაზე. ამ შემთხვევაში მთარგმნელი ეყრდნობა გერმანულ და ქართულ სივრცეში არსებულ მასალას - ნეოლოგიზმთა ლექსიკონებს, პოლიტიკური და სოციალური ლექსიკის კრებულებს, ონლაინ და ბეჭდურ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურას და სხვ. მაგრამ გერმანულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში გვხვდება ნეოლოგიზმები, რომელთა გადმოტანაც კულტურულ-სპეციფიკური სირთულეებითაა განპირობებული. ამ მხრივ საინტერესოა მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტის პოლიტიკური ნეოლოგიზმების კორპუსში წარმოდგენილი ზმნა *gauken*, რომელიც გასული საუკუნის 90 - იანი წლებიდან გამოჩნდა პოლიტიკურ ენაში და უკავშირდება გერმანული პოლიტიკოსის იოაჰიმ გაუკის სახელს. ნეოლოგიზმი აღნიშნავს იმ ფაქტს, როდესაც ხდებოდა გდრ-ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფედერალურ სააგენტოში კონკრეტული პირის გადამოწმება თანამშრომლობისთვის.¹

შესაბამისად, *gauken* როგორც პოლიტიკური ნეოლოგიზმი, მხოლოდ გერმანული სივრცისთვისაა ნიშანდობლივი და სხვა ენაზე თარგმნისას საჭიროებს დამატებით განმარტებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ენაში გავრცელებული პოლიტიკური ნეოლოგიზმები ძირითადად ინტერნაციონალიზმებს და საყოველთაოდ აღიარებულ მნიშვნელობებს ეფუძნება. მაგალითად, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გავრცელებული ნეოლოგიზმი *დრაკონული კანონები*, გვხვდება გერმანულენოვან პოლიტიკურ ენაშიც და შემდეგნაირად განიმარტება: „ამ ტერმინით აღინიშნება მკაცრი, დამთრგუნველი კანონების ერთობლიობა. პოლიტიკურ სიტყვათხმარებაში ტერმინი შემოვიდა ძვ. წ. VII ს-ის ათენელი მმართველის დრაკონის სახელთან ასოციაციით, რომელმაც 621 წელს ქალაქს ძალზე მძიმე კანონები დაუწესა. თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი შეიძლება შეგვხვდეს მოსალოდნელი მასობრივი არეულობების ან ამბოხების საფრთხის წინაშე მდგარი მთავრობის მიერ წესრიგის აღდგენის მიზნით შემოღებული საგანგებო კანონების აღსანიშნავად“ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004: 351).

მანჰაიმის გერმანული ენის პოლიტიკურ ნეოლოგიზმთა ლექსიკონის მიხედვით, მისი გავრცელების არეალი უფრო ფართოა და გვხვდება ისეთ ერთეულებშიც, როგორიცაა: *დრაკონული ღონისძიებები*, *დრაკონული დისციპლინა*, *დრაკონული სასჯელი* და სხვ.:

„**Drakonisch**

¹ Wörterbuch der Neologismen. IDS Mannheim. <https://www.owid.de/artikel/177519?pos=13>.
მოძიებულია 14.05.2024.

Adj., Ende 18. Jh. eventuell unter Einfluß von gleichbed. frz. *draconique* vereinzelt, erst seit Mitte 19. Jh. kontinuierlich nachgewiesene Ableitung von lat. *Draco*/griech. Δράκων, dem Namen des altgriechischen (athenischen) Staatsmannes (um 620 v. Chr.), dessen strenge Gesetze schon im Altertum sprichwörtlich waren.

In der Bed. '(in Anbetracht des jeweiligen Vergehens oder der zu ahndenden Verfehlung) zu hart, sehr, zu streng, übermäßig streng; unerbittlich, grausam, rücksichtslos', bes. in bezug auf Maßnahmen o. ä., die von einer bestimmten Instanz (Behörde oder Person) ausgehen, dann selten auch von Erziehungsmethoden (s. Belege 1872, 1963, 1994), häufig in festen Verbindungen wie **drakonische Gesetze, Maßnahmen, drakonische Strafen verhängen, drakonisch herrschen, mit drakonischer Härte, Strenge vorgehen, drakonischer Drill, drakonische Disziplin, jmdn. drakonisch bestrafen.**¹

პოლიტიკური ნეოლოგიზმებისთვისაც დამახასიათებელია სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება და ახალი შინაარსით მოდიფიცირება, რაც რეციპიენტისთვის უფრო იოლად მისაღები და აღსაქმელია, ვიდრე ახალი ლექსიკური ერთეული. ამგვარი ცვლილება ზოგჯერ გაცნობიერებული და მიზანმიმართულია. მაგალითად, სტრუქტურა *Die politische Mitte*, რომელიც განსხვავებული სემანტიკური შუქ-ჩრდილებით წარმოადგენს მთავარი სიტყვის *Die Mitte* - ს მნიშვნელობას და მიუთითებს გერმანიის პოლიტიკურ სპექტრში ექსტრემალურ მემარცხენე და ექსტრემალურ მემარჯვენე იდეოლოგიებს შორის არსებულ დემოკრატიულ პარტიებზე. წარმოდგენილი ენობრივი ერთეულის ქართული ეკვივალენტი *პოლიტიკური ცენტრი* შინაარსობრივად არ შეესაბამება მას, რადგან ა) ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს მსგავსი მოვლენა და ბ) ქართულ ეკვივალენტს შენარჩუნებული აქვს მთავარი ლოკალური მნიშვნელობა. შესაბამისად, პოლიტიკური ნეოლოგიზმის *Die politische Mitte* ქართულად თარგმნისას გასათვალისწინებელია მისი კონტექსტუალური მნიშვნელობა.

ზოგ შემთხვევაში რთულია ენობრივი ერთეულის ფორმისა და შინაარსის ცვლილების არსის დადგენა. მაგალითად, თ. შიპანის მიხედვით, სიტყვათშეთანხმებამ *Runder Tisch* (მრგვალი მაგიდა) გერმანიის გაერთიანებიდან (1989 წლიდან) მიიღო პოლიტიკური კონტექსტი, რაც მნიშვნელობის მეტონიმურმა ცვლილებამ გამოიწვია (Schippan, 1992: 32). დიტრიხ ბუსეს მიხედვით, აქ პირველ რიგში ადგილი აქვს ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის ისტორიულ სახეცვლას და არა მეტონიმას (Busse, 1992: 77). აღსანიშნავია, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეშიც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აქტიურ გამოყენებაში იყო პოლიტიკური ნეოლოგიზმი *მრგვალი მაგიდა*, რომელიც გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ბლოკს წარმოადგენდა და დიდი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. შესაბამისად, ქართულ სივრცეში არსებულმა პოლიტიკურმა რეალობამ განსაზღვრა სიტყვათშეთანხმების მნიშვნელობის ისტორიულად განპირობებული ცვლილება. სახეცვლილების ისტორიზმზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ როგორც გერმანულ, ასევე ქართულ სივრცეშიც წარმოდგენილმა პოლიტიკურმა ნეოლოგიზმა დაკარგა აქტუალობა და თითქმის აღარ გამოიყენება.

¹ Wörterbuch der Neologismen. IDS Mannheim <https://www.owid.de/artikel/406093>. მოძიებულია 14.05.2024.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ პოლიტიკური ნეოლოგიზმი, სამიზნე ენაში არარსებული ეკვივალენტის გამო (რაც განპირობებულია ამ ენის მატარებელი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური თავისებურებებით), პირდაპირი, კალკირებული ფორმით გადმოდის. მაგალითად, *Bundesrat*, რომელიც მანჰაიმის გერმანული ენის ინსტიტუტის პოლიტიკური ნეოლოგიზმების ლექსიკონის მიხედვით განმარტებულია, როგორც შვეიცარიის მთავრობა და შვეიცარიის მთავრობის წევრი მამრობითი სქესის პირი:

1. Mit **Bundesrat** bezeichnet man die Schweizer Regierung.
2. Männliche Person. Mit **Bundesrat** bezeichnet man eine männliche Person, die Mitglied der Schweizer Regierung bzw. der österreichischen Länderkammer ist.

- Bei der Wahl der Minister schaffte SVP-Populist Christoph Blocher am Mittwoch nicht den Sprung in die Regierung (**Bundesrat**). Die 245 anwesenden Abgeordneten beider Parlamentskammern (Nationalrat und Ständerat) bestätigten alle bisherigen sieben **Bundesräte** (Minister) in ihren Ämtern. Verteidigungsminister Adolf Ogi wurde für das nächste Jahr zum Bundespräsidenten bestimmt, ein Amt, das die Minister zusätzlich zu ihrem Fachministerium für jeweils ein Jahr übernehmen. (Tiroler Tageszeitung, 16.12.1999, Die Zauberformel hielt.)

- Das 1995 mit 110 000 Unterschriften eingereichte Begehren fordert, dass Frauen in allen Bundesbehörden angemessen vertreten sind: Für den Nationalrat darf die Differenz zwischen der Zahl der Männer und Frauen, die in einem Kanton gewählt werden, nicht mehr als eins betragen; im Ständerat muss jeder Vollkanton durch je eine Frau und einen Mann vertreten sein; im **Bundesrat** sollen mindestens drei Frauen sitzen; im Bundesgericht soll ihr Anteil wenigstens 40 Prozent ausmachen. (St. Galler Tagblatt, 22.01.2000, Quoten für mehr Gerechtigkeit.)¹

რაც შეეხება ქართულად გადმოტანას, ის ითარგმნება როგორც *ფედერალური საბჭო* - *Der Bundesrat* - ფედერალური საბჭო (გერმანიის პარლამენტის ე.წ. მეორე პალატა, სადაც წარმოდგენილია ოპოზიცია). მაგრამ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებული ასიმეტრიისა, ხშირად ის გადმოითარგმნება, როგორც *ბუნდესრატი*:

ბუნდესრატი

1. გერმანიის იმპერიაში (1871-1918 წწ) პარლამენტის ზედა პალატა, გერმანული სახელმწიფოების საიმპერიო საბჭო.

2. შვეიცარიაში - აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანო.

3. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პარლამენტის ზედა პალატა.²

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს ნეოლოგიზმთანაც *Bundestag*: აღსანიშნავია, რომ *Bund* ზოგჯერ არც იურიდიული ლექსიკონის მიხედვით არ ითარგმნება, როგორც *ფედერალური*, მაგალითად:

Bundestag (M.) 1. ბუნდესტაგი (გერმანიის პარლამენტი). 2. წარმომადგენელთა პალატა.

¹ Wörterbuch der Neologismen. IDS Mannheim. <https://www.owid.de/artikel/177519?pos=13>. მოძიებულია 14.05.2024.

² უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც.. - [თბ.] : ფანტაზია, 2006. MFN: 136149] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=45093>. მოძიებულია 14.05.2024.

მაგრამ, ასევე ილუსტრირებულ ლექსიკონში გვხვდება განსხვავებული ფორმებიც: **Bundessozialhilfegesetz** (N.) ფედერალური კანონი სოციალური დახმარების შესახებ

Bundesstaat (M.) 1. ფედერალური სახელმწიფო. 2. ფედერაცია

bundesstaatlich ფედერაციული

Bundesstaatlichkeit (F.) ფედერაციული სახელმწიფოებრიობა ¹

თანამედროვე გერმანულ ენაში პოლიტიკური ნეოლოგიზმები სხვადასხვა მეტყველების ნაწილებითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა არსებითი სახელი, ზმნა და ზედსართავი სახელი. სტრუქტურულად გვხვდება როგორც მარტივი, ასევე რთული ფორმის, ორ -, სამ - და ზოგჯერ ოთხ და ხუთშემადგენლიანი კომპოზიტებიც, რომელთა ქართულ ენაზე თარგმნაც განსაკუთრებულ სიმძნელებთანაა დაკავშირებული.

მრავალწევრიანი კომპოზიტების შემადგენლები შეიძლება იყოს: ა) მხოლოდ გერმანული (Sachkrise) ბ) უცხოენოვანი და გერმანული (Lobbykanzler), გ) გერმანული და უცხოენოვანი (Reformchek), მხოლოდ უცხოენოვანი (Warlogger). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ძირითადად გვხვდება ინგლისურენოვანი მნიშვნელობები, შესაბამისად, აღნიშნული ერთეულების ქართულად გადმოტანისას, მთარგმნელი ზედმიწევნით კარგად უნდა ფლობდეს, როგორც გერმანულ, ასევე ინგლისურ ენასაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა რთული სტრუქტურის მქონე გერმანული პოლიტიკური ნეოლოგიზმებისათვის ქართული ეკვივალენტების მისადაგება. მაგალითად: *Das Normenkontrollverfahren*, რომელიც სტრუქტურულადაც და ფორმითაც განსხვავებულად ითარგმნება და ნიშნავს *ნორმების კონტროლის პროცედურას*. მნიშვნელობის მხრივ განსხვავებულ, მაგრამ ადეკვატურ ლექსემაზე მიუთითებს თარგმანი: *Der Tiefland* - დაბალი დონე და ა.შ.

ზოგ შემთხვევაში საჭიროა გერმანულენოვანი პოლიტიკური გარემოს თავისებურებების ცოდნაც. მაგალითად: *Der Oberkreisdirektor* განიმარტება, როგორც: 1. მმართველი მოხელე, ხელმძღვანელი მოხელე. 2. ქვემო საქსონიის და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის სამხარეო მმართველი.

გერმანულ და ქართულ ენებს შორის არსებულ ასიმეტრიებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გერმანულ სინონიმებს *Die Verfassung, Die Konstitution, Das Grundgesetz*, რომლებიც გავრცელების სხვადასხვა სიხშირით ხასიათდებიან, შეესაბამება მხოლოდ ქართული *კონსტიტუცია*, რომლის სინონიმებიც ქართულში არ მოგვეპოვება.

ძირითადად, გერმანული რთული სტრუქტურის მქონე კომპოზიტები ქართულად ითარგმნება ორი ან მეტი სიტყვით, მაგალითად:

Das Gipfeltreffen - სამიტის შეხვედრა

Die Gipfelkonferenz - სამიტის კონფერენცია

Die Marktwirtschaft - საბაზრო ეკონომიკა

Das Sozialsystem - სოციალური სისტემა

¹ უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც. - [თბ.] : ფანტაზია, 2006. MFN: 136149]
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=45093>. მოძიებულია 14.05.2024.

მაგრამ, გვაქვს გამონაკლისებიც, როდესაც ორსიტყვიანი პოლიტიკური ნეოლოგიზმი ერთსიტყვიანი ქართული ეკვივალენტით ითარგმნება: *Die Europäische Union* - ევროკავშირი.

ზემოთქმულის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ნეოლოგიზმები, როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ენაში რთული ფორმითა და შინაარსით გამოირჩევა, კერძოდ, ისინი წარმოადგენენ როგორც ინტერნაციონალიზმებს, ასევე მშობლიურ, ან მშობლიური და უცხოური, ან მხოლოდ უცხოური კომპონენტებისაგან შექმნილ ენობრივ ერთეულებს. ასევე პოლიტიკური ნეოლოგიზმების კვლევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ენის მატარებელი საზოგადოების სოციალურ-კულტურული თავისებურებები და მახასიათებლები.

ლიტერატურა

იურიდიული ლექსიკონი. ავტორ. გაბრიჩიძე გ., კალანდაძე ლ., და სხვ. თბილისი. სიესტა. 2012.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004. (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. - I-ლი გამოც.. - [თბ.] : ფანტაზია, 2006. - 28სმ.[MFN: 136149] <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=45093>

Busse, Ulrich., (1992): Neologismen. Der Versuch einer Begriffsstimmung. <https://euralex.org/publications/neologismen-der-versuch-einer-begriffsbestimmung/>

Dieckmann, W., (2005): Sprache in der Politik. Einführung in die Pragmatik und Semantik der politischen Sprache. Heidelberg : Carl Winter Universitätsverlag.

Bandusch R., (1972): Sprachliche Unterschiede zwischen der DDR und BRD aus der Sicht des Lexikographen. Sprachpflege. 10.

Elsen, K. Neologismen aus lexikographischer und lexikologischer Sicht

- eine empirische Untersuchung. <https://www.researchgate.net/publication/350152820>

Fleischer W, Beyrisch V., Girlich U., (1972): Sprachwissenschaft und Ideologie. Sprachpflege, 9. Gasser-Möhlheim M. Soziale Aufwertungstendenzen in der deutschen Gegenwartssprache. Frankfurt.M.

Girnth, H., . Handwörterbuch des politischen Systems

Politische Sprache. <https://www.bpb.de/kurz-knapp/lexika/handwoerterbuch-politisches-system/511475/politische-sprache/>

Hoffmann, L., (1967): Kommunikationsmittel. Fachsprache. Eine Einführung. Akademie-Verlag Berlin.

Innerwinkler, S., (2015): Neologismen. LITERATURHINWEISE ZUR LINGUISTIK BAND I. Herausgegeben im Auftrag des Instituts für Deutsche Sprache von Elke Donalies und Carolin Müller-Spitzer. Heidelberg. Universitätsverlag winter.

R.Klappenbach u.Steinitz. Hrsg. (1961): Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Berlin.

Klaus T., (1969): Die Sprache der Politik. Traktat über die Agitation. Berlin.

Knipping F. (1972): Sprachmissbrauch im Dienste reaktionärer Ideologie. Einheit.

Niehr, Th., Kilian, J., Wegeler, M., (Hrsg.) (2017): Handbuch Sprache und Politik. In 3 Bänden. Band 1. Hempen Verlag. Bremen.

Rosen E.B., (1967): Die Lexik der deutschen Gegenwartssprache. Visshaja Shkola. 1976.

Schippan, T., (1992): Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Tübingen Niemeyer.

Schmidt, W., (1969): Charakter und gesellschaftliche Bedeutung der Fachsprachen.
Sprachpflege 1.
Wörterbuch der Neologismen. IDS Mannheim. <https://www.owid.de/artikel/177519?pos=13>

Eliso Koridze

Akaki Tsereteli State university

Eliso.koridze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.81>

For some issues of translating political neologisms (on material of German and Georgian languages)

Abstract

Global changes in the world (social, economic, industrial, technological, etc.) have a direct impact on the language - the linguistic system and its use. The vocabulary is expanding, some words lose relevance and become archaisms, the semantics of some change or acquire new meanings. New words, borrowings, idiomatic expressions are created. In this regard, the sphere of politics is particularly active, which is constantly being updated, which determines the abundance of neologisms in this direction. Despite the fact that much work has been devoted to the study of neologisms, the study of the essence and nature of neologisms, their lexicographic formation, and the problematic of establishing boundaries between neologisms and occasionalisms is still controversial. In modern German, political neologisms are represented by various parts of speech. The most frequent are nouns, verbs, and adjectives. Structurally, there are both simple and complex forms, two-, three-, and sometimes four-component compounds, the translation of which into Georgian is associated with particular difficulties.

The components of multi-term composites can be a) only German (Sachkrise) b) foreign language and German (Lobbykanzler), c) German and foreign language (Reformchek), only foreign language (Warlogger). In the latter case, English meanings are mainly found, therefore, when translating the above-mentioned units into Georgian, the translator must be extremely well-versed in both German and English.

The study of political neologisms is based on corpora of official texts (charters, conventions, party programs). It is a recognized fact that in the speech of politicians (oral, written) means of linguistic manipulation are actively used, and neologisms play a major role among them.

The study of political neologisms covers the main issues of the problematic of these linguistic units, namely:

- a) In what cases is a word considered a political neologism?
- b) Does the newly created structure belong to political neologisms or occasionalisms?
- c) How long does a new word function as a political neologism?
- d) Can a borrowed word be considered a political neologism?

When translating political neologisms, the translator relies on the material available in the German and Georgian space - dictionaries of neologisms, collections of political and social vocabulary, online and printed lexicographic literature, etc.

The presented research takes into account the publicly available online dictionary of neologisms created by the Mannheim German Language Institute <https://www.owid.de/docs/neo/start.jsp>, in which politically marked lexical items, both simple structure and complex form composites, can be searched, analyzed and translated. The results of the research can form the basis for a German-Georgian dictionary of political neologisms, in which the head word-article will be presented with the corresponding Georgian equivalents.

Key words: political neologisms, translation, German Language